ბრძანება № 1-65

26 08 2022წ.

გორი

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი, ქართულ ენაში მომზადების და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე 2022-2023 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტებისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის (26.08.2022. N948428) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი, ქართულ ენაში მომზადების და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე 2022-2023 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადები შემდეგი სახით:

ა) შემოდგომის სემესტრი:

ა.ა) ადმინისტრაციული რეგისტრაცია - 05 სექტემბერი, 2022 - 30 სექტემბერი, 2022;

ა.ა.ა) ადმინისტრაციული რეგისტრაცია ბაკალავრიატის პირველი წლის სტუდენტებისთვის (2022-2023 სასწავლო წლის ჩარიცხვა) – 26 სექტემბერი, 2022 - 14 ოქტომბერი, 2022;

ა.ა.ბ) ადმინისტრაციული რეგისტრაცია (ხელშეკრულებების გაფორმება) მაგისტრატურის პირველი წლის სტუდენტებისთვის (2022-2023 სასწავლო წლის ჩარიცხვა) – 03 ოქტომბერი, 2022 - 14 ოქტომბერი, 2022;

ა.ბ) სააუდიტორიო მეცადინეობები - 03 ოქტომბერი, 2022 - 27 იანვარი, 2023;

ა.გ) შუალედური გამოცდები - 07 ნოემბერი, 2022 – 25 ნოემბერი, 2022;

ა.დ) დასკვნითი გამოცდები - 30 იანვარი, 2023 – 17 თებერვალი, 2023;

ა.ე) დამატებითი გამოცდები - 20 თებერვალი, 2023 - 02 მარტი, 2023;

ა.ვ) საშობაო არდადეგები - 31 დეკემბერი, 2022 - 08 იანვარი, 2023.

ბ) გაზაფხულის სემესტრი:

ბ.ა) ადმინისტრაციული რეგისტრაცია - 20 თებერვალი, 2023 – 10 მარტი, 2023;

ბ.ბ) სააუდიტორიო მეცადინეობები - 06 მარტი, 2023 – 23 ივნისი, 2023;

ბ.გ) შუალედური გამოცდები - 10 აპრილი, 2023 - 21 აპრილი, 2023;

ბ.დ) დასკვნითი გამოცდები - 26 ივნისი, 2023 – 14 ივლისი, 2023;

ბ.ე) დამატებითი გამოცდები - 17 ივლისი, 2023 - 28 ივლისი, 2023.

2. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას.

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

5. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი — გიორგი სოსიაშვილი